



DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
გაერთიანება

სარჩევი

იურიდიული ცნობარი	1
დაგეგმილი ტრენინგები	2
წევრთა სიახლეები	3
სხვა სიახლეები	3
EVA-ს შეთავაზება	4



DWV-იურიდიული ცნობარი

კანონპროექტი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ


„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შედის. კანონპროექტი პარლამენტში ორი მოსმენით უკვე დამტკიცებულია.

კანონი ამოქმედდება 2021 წლის 1 ივნისიდან.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [ამ ბმულზე](#)



ოფიციალური ნარმომადგენლობა



Senior Experten Service
მარია ბრეგაძე
maria.bregadze@dwv.ge

ალინა დოსტი
alina.dost@dwv.ge

Messe Frankfurt და Fruit Logistica
ზაირა სოლოევა
zaira.soloeva@dwv.ge

თანამშრომლობა



კონტაქტი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
თომას კიმმესვენგერი
+995 32 220 5767
thomas.kimmeswenger@dwv.ge



10.02.2021; 10:00 - 15:00

განსახილველი საკითხები: ეფექტიანი მართვის ძირითადი პრინციპები და კონცეფციები, ინდიკატორების სისტემა

სამიზნე აუდიტორია: ორგანიზაციის ხელმძღვანელები (CEO/General Director), ორგანიზაციისა და სტრატეგიის განვითარების მენეჯერები, ადამიანური რესურსების მართვის ხელმძღვანელები, სხვადასხვა დეპარტამენტების/განყოფილების ხელმძღვანელები.

ტრენერი: დავით ქარდავა

რეგისტრაცია

რეკრუტინგის დაგეგმვა და ბიუჯეტირება



18.02.2021; 12:00 - 16:00

განსახილველი საკითხები: რეკრუტინგის დაგეგმვისა და ბიუჯეტირების მოდელები, საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ასპექტები და კალკულაციის მეთოდები: ISO 30405 – რეკრუტინგის სახელმძღვანელო, ISO 30407 – ადამიანური რესურსების მართვა: რეკრუტინგის ბიუჯეტირება, NHC – Net hiring cost

სამიზნე აუდიტორია: ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენლები: HR ხელმძღვანელი, HR გენერალისტი, რეკრუტერი, HR ადმინისტრატორი.

ტრენერი: სალომე არღვლიანი

რეგისტრაცია

მედიაციის შესახებ კანონი - ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები



25.02.2021; 11:00 - 15:00

განსახილველი საკითხები: ISO მედიაციის პროცესი - ალტერნატიული მართლმსაჯულების საკანონმდებლო ლეგიტიმაცია, მედიაციის ეთიკური ფუნდამენტი, მედიაციის შესახებ დათქმა, სამედიაციო მორიგება, კონფიდენციალურობის დამოუკიდებელი ხელშეკრულება, პროცესის ძირითადი ფაზები.

სამიზნე აუდიტორია: ორგანიზაციის ხელმძღვანელები (CEO/General Director), იურისტები (მედიაციაში წარმომადგენლობის განხორციელების მიზნით), ორგანიზაციისა და სტრატეგიის განვითარების მენეჯერები, ადამიანური რესურსების მართვის ხელმძღვანელები, სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელები.

ტრენერი: ნათია ჩიტაშვილი, აკაკი განერელია

რეგისტრაცია

გაიგეთ მეტი ღონისძიებების შესახებ
[ჩვენს ვებგვერდზე](#)

წევრთა სიახლეები

- > პროკრედიტ ბანკის სათავო ოფისი მსოფლიოს მწვანე შენობების სიაში შევიდა
- > ელემენტ კონსტრაქშენმა ელთიბის მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობა დაასრულა
- > საქართველოს ბანკმა რიგით მეხუთე სტუდენტური პროგრამა “ლიდერატორი” გამოაცხადა
- > დიომ ახალი პროექტი #საიმედორეკომენდაციები დაიწყო
- > ჰაიდელბერგცემენტმა დიზაინის კონკურსი გამოაცხადა
- > პროკრედიტ ბანკი ჰიუნდაისთან თანამშრომლობით მომხმარებლებს ელექტრომობილის შესყიდვის და დაფინანსების განსაკუთრებულ პირობებს სთავაზობს

[_ყველა სიახლე
წაიკითხეთ აქ_](#)

სხვა სიახლეები

- > 1 თებერვლიდან, დაქირავებულ პირთა რეესტრის შევსება სავალდებულო გახდა. [გაიგეთ მეტი](#)
- > EBRD-ის ინვესტიციები საქართველოში 2-ჯერ გაიზარდა. 2020 წელს საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 630 მილიონი EUR-ს ღირებულების 16 პროექტს მოეწერა ხელი
- > შრომის ინსპექციის მანდატი გაფართოვდა. [გაიგეთ მეტი](#)
- > შეზღუდვების შემსუბუქება 1 თებერვლიდან დაიწყო

Covid-Update

- 1) ბათუმში, ზუგდიდში, გორში, ფოთსა და თელავში 1-ელი თებერვლიდან მუნიციპალური ტრანსპორტის, სკოლების, მაღაზიებისა და სავაჭრო ობიექტების მუშაობა აღდგა, თუმცა ტრანსპორტი, მაღაზიები და სავაჭრო ობიექტები შაბათ-კვირას არ იმუშავებენ.
- 2) თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში პირველი თებერვლიდან მუშაობას განაახლეს მაღაზიებმა და სავაჭრო ცენტრებმა.
- 3) 8 თებერვლიდან სრულად ამოქმედდება ტრანსპორტი და გაიხსნება ბაზრობები. 15 თებერვლიდან სკოლები და რესტორნების ღია სივრცეები გაიხსნება.

> საქართველოს საზღვრის კვების რეჟიმი 1-ლი თებერვლიდან შემსუბუქდა

- 1) საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ არჩევანის უფლება, შემოვიდნენ ქვეყანაში PCR-ტესტის ნეგატიური პასუხით და გადაინაცვლონ 8-დღიან თვითიზოლაციაში, ან თვითიზოლაციის ნაცვლად, მესამე დღეს, საკუთარი ხარჯით კიდევ ერთი PCR-ტესტი ჩაიტარონ, რა შემთხვევაშიც თვითიზოლაციიდან თავისუფლდებიან.
- 2) საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომელთაც საჰაერო საზღვრით შემოსვლისას თან არ ექნებათ ნეგატიური PCR-ტესტი, დღეს მოქმედი 12-დღიანი თვითიზოლაციის ვადა 8 დღემდე მცირდება.
- 3) უცხო ქვეყნების ვიზიტორები ნებისმიერი ტიპის COVID-ვაქცინის სრული კურსის (2 სრული დოზა) ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტის საზღვარზე წარდგენის შემთხვევაში, საქართველოში უპირობოდ შემოსვლას შეძლებენ.
- 4) თვითიზოლაციის ვალდებულება უქმდება არავაქცინირებული ვიზიტორებისთვის, რომლებიც არიან ევროკავშირის, ისრაელის, შვეიცარიის, აშშ-ის, საუდის არაბეთის, არაბთა გაერთიანებული საემიროების და ბაჰრეინის მოქალაქეები ან რეზიდენტები. მათ უნდა წარადგინონ 72-საათიანი ვალიდურობის მქონე PCR-ტესტის ნეგატიური პასუხი და ქვეყანაში შემოსვლის შემდეგ, მესამე დღეს, საკუთარი სახსრებით სავალდებულოდ ჩაიტარონ PCR-ტესტი.

[_ყველა სიახლე
წაიკითხეთ აქ_](#)

EVA ჩვენი მკითხველებისთვის



AURA - ჯანსაღი კორპორაციული კულტურა

- 10% ფასდაკლება - 10.000 ლარამდე ღირებულების პროექტზე
- 15% ფასდაკლება - 10.000 ლარზე მეტი ღირებულების პროექტზე


ID37-პროცესული მახასიათებლების ანალიზი

- 5% ფასდაკლება - თიმბილდინგი
- 10% ფასდაკლება - ID37 მასტერის სერტიფიკატი
- 5% ფასდაკლება - ინდივიდუალური ტესტი; HR პროფესიონალებისათვის დამატებით უფასო გასაუბრება ID37 Master-თან (45 წუთიანი ზუმ ინტერვიუ)



ISO 10667 1/2 - HR სისტემების ეფექტურობა

- 20% ფასდაკლება - თანამშრომელთა ტრენინგი
- 10% ფასდაკლება - კონსულტაცია
- 15% ფასდაკლება - სერტიფიცირება
- 15% ფასდაკლება - HR პროფესიონალების ლიცენზირება



EVA არის ინდივიდუალური და ორგანიზაციული პროფაილერი. EVA აფასებს ინდივიდუალურ ცოდნას, უნარ-ჩვევებს და განსაზღვრავს თანამშრომლების მთავარ მოტივაციებს. სიღრმისეული ანალიზის შედეგად ახორციელებს საქმიანობის შეფასებას და ახდენს ძირითადი, განვითარებისთვის ხელისშემშლელი, რისკების იდენტიფიცირებას და გეგმავს გაუმჯობესებას.

დამატებითი ინფორმაციის ენჯით კომპანიის გვერდს: e-valuate.me

contact@e-valuate.me

salomeargvliani@gmail.com

Tel: +995599 084 379

